3 83
1959

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 5 (92) მაისი 1959 წელი

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის მოხსენებიდან ბარათი „სოფლის სკოლის მასწავლებელთა მეცადინეობისა და უპირატესობის თაობაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ბორჯომის, გურჯაანისა და დუშეთის რაიონებში“.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის მოხსენებიდან ბარათი „ნადიოფიკაციის მდგომარეობის შესახებ ახალქალაქის ბოგდანოვკის, მესტიისა და ხულოს რაიონებში“.

3. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების მეშვიდე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების შედეგების შესახებ.

4. ბრძანებულება საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

5. ბრძანებულება საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ.

6. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის დებულების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ.

7. ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 144 და 145 მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

8. ბრძანებულება საქართველოს სსრ ქუთაისის რაიონის სახალხო სასამართლოს გაუქმების შესახებ.

9. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის ახალი სტრუქტურისა და შტატების შესახებ.

10. ბრძანებულება საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

11. ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

12. მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ.

7832

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის მოხსენებითი ბარათი „სოფლის სკოლის მასწავლებელთა შეღავათებისა და უპირატესობის თაობაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ბორჯომის, გურჯაანისა და დუშეთის რაიონებში“

განიხილა რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის მოხსენებითი ბარათი „სოფლის სკოლის მასწავლებელთა შეღავათებისა და უპირატესობის თაობაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ბორჯომის, გურჯაანისა და დუშეთის რაიონებში“ და ანიშნებს რა უდიდეს მნიშვნელობას მასწავლებელთათვის კანონით მინიჭებული შეღავათებისა და უპირატესობის ცხოვრებაში განუხრელად გატარების საქმეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაეკალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის მოხსენებითი ბარათი „სოფლის სკოლის მასწავლებელთა შეღავათებისა და უპირატესობის თაობაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ბორჯომის, გურჯაანისა და დუშეთის რაიონებში“ და მიიღოს საჭირო ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 16 მაისი.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის მოხსენებითი ბარათი „რადიოფიკაციის მდგომარეობის შესახებ ახალქალაქის, ბოგდანოვკის, მესტიისა და ხულოს რაიონებში“

განიხილა რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის მოხსენებითი ბარათი „რადიოფიკაციის მდგომარეობის შესახებ ახალქალაქის, ბოგდანოვკის, მესტიისა და ხულოს რაიონებში“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ახალქალაქის, ბოგდანოვკის, მესტიისა და ხულოს რაიონებში რადიოფიკაციის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია. ითვალისწინებს რა იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ მნიშვნელობას, რომელიც აქვს სოფლების რადიოფიკაციას მოსახლეობის კულტურული მოსახურების გაუმჯობესების საქმეში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის მოხსენებითი ბარათი „რადიოფიკაციის მდგომარეობის შესახებ ახალქალაქის, ბოგდანოვკის, მესტიისა და ხულოს რაიონებში“ გადაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად და საჭირო ღონისძიებების მისაღებად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 16 მაისი.

3. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების მეშვიდე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების მეშვიდე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიები დაწესებულ ვადებში, ორგანიზებულად და მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარდა. სესიებზე არჩეულ იქნა ერთი საოლქო, 68 რაიონული, 33 საქალაქო, ქალაქის 8 რაიონული, 940 სასოფლო და 35 სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობაში არჩეულია 8.117 დეპუტატი, რომელთა 75,4 პროცენტი უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე პირია, რაც 840 კაცით მეტია, ვიდრე მეექვსე მოწვევის საბჭოების აღმასკომებში იყო.

მშროშელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების პირველ სესიებზე შეიქმნა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის 4.235 მუდმივი კომისია, რომლებშიც არჩეულ იქნა 32.215 დეპუტატი, ანუ დეპუტატთა საერთო რიცხვის 79,7 პროცენტი.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების მუშაობას რიგი ნაკლოვანებანი ახასიათებთ.

ასე, მაგალითად: მშრომელთა დეპუტატების აბაშის, ვანის, ლაგოდეხისა და წალენჯიხის რაიონების საბჭოებმა, რომელთაც ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებები გაუქმებული აქვთ, სესიებზე დაამტკიცეს რაიონული საავადმყოფოების მთავარი ექიმები; ლაგოდეხის და ახმეტის რაიონების საბჭოებმა დაამტკიცეს სოფლისა და საკოლმეურნეო მშენებლობების განყოფილებები, ნაცვლად კოლმეურნეობებში მშენებლობის განყოფილებებისა.

მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის რაიონულ საბჭოს სესიაზე არ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმტკიცებიათ აღმასრულებელი კომიტეტის საერთო განყოფილება და ადგილობრივი მეურნეობის კომბინატი, ხოლო ქარელის რაიონულ საბჭოს სესიაზე დაამტკიცეს სსრკ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონის ინსპექცია, რომელიც არ ითვლება აღმასკომის ორგანოდ.

მშრომელთა დეპუტატების გეგეჭკორის, ლაგოდეხის, მესტიის, სიღნაღის, მარნეულისა და მაიაკოვსკის რაიონული საბჭოების მუდმივ კომისიებში არ არის ჩაბმული დეპუტატთა საგრძნობი რიცხვი.

მშრომელთა დეპუტატების ყვარლის რაიონულმა საბჭომ საბიუჯეტო კომისიის ნაცვლად შექმნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისია. საგარეჯოს რაიონულმა საბჭომ გაიერთიანა საბიუჯეტო და კეთილმოწყობის, აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და საგზაო მშენებლობის კომისიები, მაშინ როცა ამ რაიონულ საბჭოების შემადგენლობაში არჩეული დეპუტატების რიცხვი იძლევა მათი ცალ-ცალკე კომისიებად შექმნის შესაძლებლობას.

მშრომელთა დეპუტატების ონის, ლენინის, ბოლნისისა და ლანჩხუთის რაიონულ საბჭოებს არ შეუტანიათ სესიების ოქმებში და არც დაურთავთ ოქმისათვის სამანდატო კომისიების მოხსენებები.

მშრომელთა დეპუტატების დმანისის, თიანეთისა და ჩხოროწყუს რაიონული საბჭოების სესიებზე აღმასკომის თავმჯდომარეები, თავმჯდომარის მოადგილეები და მდივნები აირჩიეს აღმასკომის წევრებადაც. ზოგიერთ რაიონულ საბჭოს სესიაზე მუდმივი კომისიები შექმნილია აღმასკომებთან, ნაცვლად საბჭოსი, როგორც ამას მოითხოვს მუდმივი კომისიების დებულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაეევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) გადასინჯონ აღმასკომების განყოფილებებისა და მუდმივი კომისიების შექმნის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და მორიგ სესიებზე გამოასწორონ დაშვებული დარღვევები;

ბ) ფართოდ ჩააბან საბჭოების დეპუტატები და მუდმივი კომისიები საბჭოებისა და მათი აღმასკომების მუშაობაში, დახმარება გაუწიონ დეპუტატებს ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების საქმეში. შეაჯამონ და განაზოგადონ აპომრჩეველთა მიერ წინასაარჩევნო კრებებზე წამოყენებული განაწესები და წინადადებანი, დასახონ სათანადო ღონისძიებანი მათი შესრულებისათვის; მიაღწიონ იმას, რომ საბჭოების სესიებისა და აღმასკომების გადაწყვეტილებები დეპუტატების საშუალებით სისტემატურად ეცნობოდეს მოსახლეობას;

გ) აქედანვე გაატარონ საჭირო ღონისძიებები, რათა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, მათი სამმართველოები, განყოფილებები და საბჭოების მუდმივი კომისიები პერიოდულად აბარებდნენ ანგარიშებს საბჭოების სესიებს;

დ) საბჭოების ორგმასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისა და დახმარების მიზნით პერიოდულად მოისმინონ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე ქვემდგომი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ანგარიშები;

ე) უზრუნველყონ ქვემდგომი საბჭოების სესიებისა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომების ოქმების დროულად მიღება-განხილვა და მიღებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილებათა კანონიერების შემოწმება; კონტროლი დააწესონ მათ შესრულებაზე.

2. დაეკისროს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ჩაატარონ ქვემდგომი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეების, მდივნებისა და მუდმივი კომისიების თავმჯდომარეების საინსტრუქტაჟო თათბირები, ჩოაწყონ მათთვის ლექციები, საუბრები და სემინარები საბჭოების მუშაობის ცალკეულ საკითხებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 16 მაისი.

4. ბრძანებულება საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულებისა „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში მონაწილეობს ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმო და სამეურნეო ორგანიზაცია, რომლებიც მდებარეობენ როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა. ჩამოთვლილი ორგანიზაციების მონაწილეობა საგზაო სამუშაოებში სავალდებულოა და მისი ანაზღაურება არ ხდება.

2. კოლმეურნეობები ყოველ წელს იღებენ მონაწილეობას ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობის ყოველ შრომისუნარიან წევრზე გამომუშავების ორიდან ოთხამდე დღიური ნორმის, აგრეთვე კოლმეურნეობების კუთვნილ ყოველ სატვირთო ავტომობილზე, ტრაქტორზე, სამშენებლო და საგზაო მექანიზმზე და ცოცხალი გამწევი ძალის ყოველ ერთეულზე ოთხი დღიური ნორმის მოცულობით.

გამომუშავების დღიური ნორმების კონკრეტულ რაოდენობას აწესებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სამუშაოთა მოცულობისა და ხასიათის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საბჭოთა მეურნეობები, ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობანი, სარემონტო-ტექნიკური სადგურები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები (გარდა გზატკეცილების მთავარი სამმართველოს საგზაო ორგანიზაციებისა) მონაწილეობენ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში გამომუშავების ექვსი დღიური ნორმის მოცულობით წელიწადში, მათ კუთვნილ ყოველ სატვირთო ავტომობილზე, ტრაქტორზე, სამშენებლო და საგზაო მექანიზმზე.

4. ამ პრძანებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობაში არ შედის საგზაო სამუშაოები, რომლებსაც შეასრულებენ საბჭოთა მეურნეობები, ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობები, სარემონტო-ტექნიკური სადგურები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები მათი კუთვნილი საუწყებო გზების მშენებლობის, რემონტისა და მოვლა-შენახვისათვის.

5. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება ეძლევათ, გამონაკლის შემთხვევებში, ცალკეულ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს, სამეურნეო ორგანიზაციებს, მათი შუამდგომლობით, შეუცვალონ საგზაო სამუშაოებში მონაწილეობა ფულადი შესატანით შესასრულებელ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ოდენობით.

6. ამ პრძანებულების მე-3 მუხლში ჩამოთვლილი ის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი ტრანსპორტი, მექანიზმები და მოწყობილობა, ადგილობრივი გზების მშენებლობასა და რემონტში მონაწილეობენ იმ მოცულობით და წესით, რომლებსაც ადგენენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

7. საგზაო სამუშაოთა შესასრულებლად ყველა მექანიზმს, მოწყობილობას, სატრანსპორტო საშუალებასა და გამწევ ძალას მძღოლებთან, მომსახურე პერსონალსა და დასატვირთავ-გადმოსატვირთავი სამუშაოებისათვის საჭირო მუშახელთან ერთად გამოჰყოფენ სამეურნეო ორგანიზაციები და უზრუნველყოფენ საშუავით, საცხებითა და სხვა მასალებით საკუთარი ფონდებიდან და თვიანთი ხარჯზე.

8. დაწესდეს, რომ საგზაო სამუშაოებში, სამეურნეო ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობის ძირითადი ფორმებია:

ა) კოლმეურნეობებში—მუდმივი საგზაო ბრიგადები;

ბ) საბჭოთა მეურნეობებში, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში—მუდმივი მექანიზებული რაზმები ან ბრიგადები მათთვის დაწესებული საგზაო სამუშაოთა მოცულობისა და იმ მექანიზმების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც გამოყოფილია ამ სამუშაოთა შესასრულებლად.

9. ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და შეკეთებაში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობის წლიურ გეგმებს ადგენენ თითოეულ რაიონში მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტები და ამტკიცებენ შესაბამისად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტი, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

დამტკიცებული გეგმების საფუძველზე, არა უგვიანეს 2 თვისა წლის დაწყებამდე, ყოველ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, საწარმოს, სამეურნეო ორგანიზაციას ეცნობება წლიური დავალება, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოთა შესრულების ადგილს, მოცულობასა და ვადებს. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს, სამეურნეო ორგანიზაციებს ეს დავალებანი შეაქვთ თავიანთ წლიურ საწარმოო-ფინანსურ გეგმებში.

10. ადგილობრივ საავტომობილო გზებზე იმ სამუშაოთა ტექნიკური მეთვალყურეობა, კონტროლი და მიღება, რომლებიც სრულდება ამ ბრძანებულების შესასამისად, ხორციელდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ადგილობრივი საგზაო ორგანოების მეშვეობით.

11. მოწყობილობის, საშენი მასალების, იარაღებისა და ინვენტარის შესაძენად, ტექნიკური პერსონალის შესანახად, კვალიფიციური მუშა-ხელის ხელფასისა და სხვა ხარჯებისათვის, რაც საჭიროა იმ საგზაო სამუშაოთა ორგანიზაციისათვის, რომლებიც სრულდება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მონაწილეობით, შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში ყოველწლიურად გამოიყოფა ფულადი სახსრები აღნიშნულ ორგანიზაციათა მიერ შესასრულებელ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სულ ცოტა 20 პროცენტის რაოდენობით.

12. საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებით გადახდებათ უდავო წესით მათ მიერ შეუსრულებელ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 50 პროცენტი, ხოლო მათს ხელმძღვანელებს დაეკისრებათ ჯარიმა 300-დან 500 მანეთამდე.

ამ თანხების გადახდა მათ არ ათავისუფლებს დაწესებული მოცულობის საგზაო სამუშაოთა შესრულებისაგან.

13. ფულადი თანხები, გადახდევინებული საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის, აგრეთვე თანხები, რომლებსაც სამეურნეო ორგანიზაციები შეიტანენ საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის ნაცვლად (მუხლი 5) ჩაირიცხება ადგილობრივი საგზაო ორგანოების სპეციალურ ანგარიშზე და დაიხარჯება მხოლოდ ადგილობრივი საავტომობილო გზების შენებლობასა და რემონტზე საგზაო სამუშაოებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფულად ასიგნებათა გარდა, წლის განმავლობაში გამოუყენებელი ფულადი სახსრები, რომლებიც ჩარიცხულია საგზაო ორგანოების სპეციალურ ანგარიშებზე, ინარჩუნებენ თავიანთ მიზნობრივ დანიშნულებას შემდეგ წელს.

14. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს 1940 წლის 25 მარტის დადგენილება „გზატკეცილებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყამირ გზების მშენებლობისა და რემონტის საქმეში სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის წესის შესახებ“ (დადგ. კრებ. № 4, მუხ. 20).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 16 მაისი.

5. ბრძანებულება საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულება ახალი რედაქციით. (თან ერთვის).

2. აღნიშნული ბრძანებულების გამოცემასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1940 წლის 25 აპრილისა „საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულების დამტკიცების შესახებ“;

1943 წლის 28 ივლისისა „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის წოდების დაწესების შესახებ“;

1949 წლის 5 მაისისა „საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულების დამატების შესახებ“;

1953 წლის 28 ნოემბრისა „საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის საპატიო წოდების დაწესების შესახებ“;

1955 წლის 20 დეკემბრისა და „საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულების დამატების შესახებ“;

1956 წლის 26 სექტემბრისა „საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატისა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდებების დაწესების შესახებ“;

1957 წლის 28 ნოემბრისა „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის საპატიო წოდების დაწესების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ

ნაწილი I

დაწესდეს, რომ ცალკეულ პირებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგებში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, მათი სპეციალობისა და სამუშაოს მიხედვით შეიძლება მიენიჭოთ საქართველოს სსრ შემდეგი საპატიო წოდებები:

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის;

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის;

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის;

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის;

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის;

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის;

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის;

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის;

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატის;

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის;

საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის;

საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმის;

საქართველოს სსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსის;

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის.

ცალკეულ მუსიკალურ, ჯუნდურ, ცეკვისა და სხვა შემსრულებელ კოლექტივებს შეიძლება მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლის საპატიო წოდება.

ნაწილი II

1. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის ან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭებათ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაკებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაშრომებისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში აღმოჩენებისა და გამოგონებისათვის, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ კომუნისტური მშენებლობისათვის, ან თვალსაჩინო სამეცნიერო-პედაგოგიურ და სამეცნიერო-პოპულარიზატორულ მოღვაწეობისათვის.

2. საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭებათ თეატრის, კინოს, ფილარმონიის, ესტრადის, ცირკის განსაკუთრებული ოსტატობის მქონე მსახიობებსა და რეჟისორებს, მუსიკალურ შემსრულებლებს, აგრეთვე დრამატურგებს, დირიჟორებსა და კომპოზიტორებს თვალსაჩინო მხატვრული სახეების, სპექტაკლების, კინოფილმებისა და მუსიკალური ნაწარმოებების შექმნისათვის და რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის საპატიო წოდება მიენიჭებათ ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწეებს: მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნისათვის და განსაკუთრებული დამსახურებისათვის ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების განვითარების საქმეში.

4. საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭებათ რეჟისორებს, მხატვრებს, მოქანდაკეებს, არქიტექტორებს, დრამატურგებს, კომპოზიტორებსა და ხელოვნების სხვა მოღვაწეებს, რომლებმაც შექმნეს ხელოვნების თვალსაჩინო ნაწარმოებები ან დიდი დამსახურება მოიპოვეს სამხატვრო კადრების აღზრდისა და მომზადების საქმეში, აგრეთვე ხელოვნების დარგში სამეცნიერო ნაშრომების შექმნაში.

5. საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭებათ თეატრის, კინოს, ფილარმონიის, ესტრადის, ცირკის მაღალი ოსტატობის მქონე არტისტებსა და რეჟისორებს, მუსიკალურ შენსრულებლებს, რომლებმაც შექმნეს ნაღალმხატვრული სახეები, სპექტაკლები, კინო-ფილმები, მუსიკალური ნაწარმოებები და თავიანთი მოღვაწეობით ხელს უწყობენ ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებას.

6. საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭებათ საბავშვო ბაღებისა და საბავშვო სახლების აღმზრდელებსა და გამგეებს, დაწყებითი სკოლების მასწავლებლებსა და გამგეებს, შეიდწლიანი, საშუალო და სპეციალური სკოლების, პედაგოგიური სასწავლებლების, ტექნიკუმების, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებსა და დირექტორებს, სახალხო განათლების რაიონული, საქალაქო და საოლქო განყოფილებების ინსპექტორებსა და გამგეებს, პედაგოგიური და მეთოდური კაბინეტების გამგეებსა და მეთოდისტებს, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების ინსპექტორებს, რომლებსაც აქვთ მუშაობის არანაკლებ 20 წლის სტაჟი, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აღმზრდელობით-პედაგოგიური მოღვაწეობით და რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს ბავშვთა კომუნისტური აღზრდისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღების საქმეში.

7. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭებათ სახელოსნო, რკინიგზის, ტექნიკური, სპეციალური სახელოსნო-სასწავლებლების, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სახელოსნო სასწავლებლების, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლების, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებისა და სამშენებლო სკოლების მასწავლებლებს, საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს ინსპექტორებს, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება, პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში მუშაობის არანაკლებ 15 წლის სტაჟი და განსაკუთრებული დამსახურება აღმზრდელობით-პედაგოგიურ მოღვაწეობაში. იმ თვალსაჩინო წარმატებებისათვის, რომლებიც მოიპოვეს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის საქმეში.

8. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდება მიენიჭებათ სახელოსნო, რკინიგზის, ტექნიკური, სპეციალური სახელოსნო-სასწავლებლების, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სახელოსნო-სასწავლებლების, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლების, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებისა და სამშენებლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლების საწარმოო სწავლების ოსტატებს, საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს ინსპექტორებს, რომლებსაც აქვთ საშუალო სპეციალური ან უმაღლესი განათლება, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლო დაწესებულებებში მუშაობის არანაკლებ 15 წლის სტაჟი და განსაკუთრებული დამსახურება აღმზრდელობით-პედაგოგიურ მოღვაწეობაში, იმ თვალსაჩინო წარმატებებისათვის, რომლებიც მოპოვეს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის საქმეში.

9. საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება მიენიჭებათ საექიმო უბნების, ამბულატორიების, სამშობიარო სახლების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, სანატორიუმებისა და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სანიტარულ დაწესებულებათა ექიმებს, რომლებსაც აქვთ ამ დაწესებულებებში მუშაობის არანაკლებ 20 წლის სტაჟი და განსაკუთრებით გამოჩინილ თავი სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში პრაქტიკული მოღვაწეობით.

10. საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის საპატიო წოდება მიენიჭებათ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და სოფლის მეურნეობის ორგანოების მაღალკვალიფიციური აგრონომებს, რომელთაც უმუშავიათ სოფლის მეურნეობის ორგანოებში სპეციალობის მიხედვით არანაკლებ 15 წლისა და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

11. საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმის ან დამსახურებული ზოოტექნიკოსის საპატიო წოდება მიენიჭებათ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებსაც უმუშავიათ სპეციალობის მიხედვით არანაკლებ 15 წლისა და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების საქმეში.

12. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის საპატიო წოდება მიენიჭებათ სარემონტო-ტექნიკურ და მეცხოველეობის სამანქანო სადგურების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორისტებს, კომბაინერებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, სასწავლებლებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებს, რომელთაც აქვთ სპეციალობის მიხედვით მუშაობის არანაკლებ 15 წლის სტაჟი და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში, მოწინავე ტექნიკის ათვისებისა და სასოფლო სამეურნეო წარმოებაში მისი დანერგვის საქმეში.

13. საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლის საპატიო წოდება მიენიჭებათ მუსიკალურ, გუნდურ, ცეკვისა და სხვა კოლექტივებს შესრულების მაღალმხატვრული ოსტატობისა და წარმატებითი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, რაც ხელს უწყობს ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებას.

ნაწილი III

საქართველოს სსრ საპატიო წოდებანი მიენიჭება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების წარდგენით.

საპატიო წოდებათა მინიჭების წესახებ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების წინაშე შუამდგომლობის აღძვრა შეუძლიათ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, პარტიულ, პროფკავშირულ და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები და ორგანიზაციები შუამდგომლობას აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრავენ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის წინაშე, რომლებსაც თავიანთი წინადადებანი შეაქვთ სათანადო სამინისტროებსა და უწყებებში.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ცალკეულ პირთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ შუამდგომლობის აღძვრისას სახალხო მეურნეობის საბჭოს, სათანადო სამინისტროსა და უწყებას, ხოლო უკანასკნელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უნდა წარუდგინონ შემდეგი საბუთები:

ა) დასაბუთებული გადაწყვეტილება დაწესებულების ან ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით;

ბ) ვრცელი დახასიათება საწარმოო, სამეცნიერო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისა ან სხვა დამსახურების შესახებ;

გ) ავტობიოგრაფია, ფოტოსურათი და კადრების აღრიცხვის ფურცელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში სამინისტროებისა და უწყებების მიერ წარმოდგენილ მასალებს თან უნდა ერთოდეს სათანადო პროფესიული კავშირის ცენტრალური კომიტეტის დასკვნა.

ნაწილი IV

იმ პირებს, რომლებსაც მიენიჭათ საქართველოს სსრ საპატიო წოდება, გადაეცემათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ ხელმოწერილი დაწესებული ნიშნის სიგელი.

საქართველოს სსრ საპატიო წოდების ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით.

6. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის დებულების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის დებულება ახალი რედაქციით. (თან ერთვის).

2. აღნიშნული ბრძანებულების გამოცემასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის დებულება, დამტკიცებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 23 ივნისის ბრძანებულებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ ა უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით ჯილდოდებიან მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, აგრეთვე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულებები, საწარმოები და ორგანიზაციები საწარმოო გეგმებისა და დავალებების შესრულებაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის, უხვი მოსავლის მიღებისათვის, მეცხოველეობის განვითარებისათვის, ნაყოფიერი საწარმოო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ლიტერატურის, ხელოვნების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის და რესპუბლიკის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვა დარგებში დამსახურებისათვის.

2. საპატიო სიგელით დაჯილდოება ხდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენით.

3. ცალკეულ პირთა, დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საპატიო სიგელით დასაჯილდოებლად შუამდგომლობის აღძვრისას წარდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები:

ა) მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დასაბუთებული გადაწყვეტილება ან სამინისტროს, დაწესებულების და ორგანიზაციის წარდგენება;

ბ) საწარმოო, სამეცნიერო, შემოქმედებითი ან საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ვრცელი დახასიათება წარდგენილი პირის დამსახურების ჩვენებით.

გ) ავტობიოგრაფია, ფოტოსურათი და კადრების აღრიცხვის ფურცელი.

საბუთებს თან უნდა ერთოდეს სათანადო პროფკავშირული ორგანოს დასკვნა.

4. დაჯილდოებულებს გადაეცემათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ ხელმოწერილი დაწესებული ნიმუშის საპატიო სიგელი.

5. საპატიო სიგელის ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით.

7. ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 144 და 145 მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 22 და 23 მუხლებისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიცვალოს სასჯელების ზომები განზრახ მკვლელობისათვის და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 144 და 145 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„144. განზრახ მკვლელობა, უკეთუ იგი ჩადენილია:

ა) ანგარებით, შურისძიებით, ეჭვიანობით (თუ ეს უკანასკნელი არ უდგება 146 მუხლის ნიშნებს), ხულიგნური ან სხვა ქვენა გრძნობით;

ბ) სხვა დანაშაულის ჩადენის გასაადვილებლად ან დასაფარავად;

გ) მრავალ ადამიანთა სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების საშუალებით;

დ) დაზარალებულისათვის განსაკუთრებულად სატანჯველი საშუალებით;

ე) ჩასაფრებით, ან დაზარალებულის განმარტოებულ ადგილას გატყუებით;

ვ) იმ პირის მიერ, ვისაც ვალად ედო განსაკუთრებული ზრუნვა დაზარალებულისათვის;

ზ) დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით;

თ) დამნაშავის წინასწარი შეცნობით ორსულობის მდგომარეობაში მყოფი ქალისა;

ი) იმ პირის მიერ ვისაც უკვე მოუხდია სასჯელის ღონისძიება განზრახ მკვლელობის ან სხეულის მძიმე დაზიანებისათვის, გამოიწვევს,—

თავისუფლების აღკვეთას ათიდან თხუთმეტ წლამდე ან სიკვდილით დასჯას.

145. განზრახ მკვლელობა, უკეთუ იგი არ შეიცავს ამა კოდექსის 144 მუხლით გათვალისწინებულ ნიშნებს, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ხუთიდან ათ წლამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 16 მაისი.

8. ბრძანებულება საქართველოს სსრ ქუთაისის რაიონის სახალხო სასამართლოს გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ ქუთაისის რაიონის გაუქმებასთან დაკავშირებით გაუქმდეს ქუთაისის რაიონის სახალხო სასამართლო.

2. ყოფილი ქუთაისის რაიონის სახალხო მოსამართლემ თავისი მოვალეობა შეასრულოს წყალტუბოს რაიონის სახალხო სასამართლოში, ხოლო სახალხო მსაჯულებმა—წყალტუბოსა და თერჯოლის რაიონების სახალხო სასამართლოებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის ახალი სტრუქტურისა და შტატების შესახებ

საბჭოთა აპარატის შემდგომი სრულყოფისა და მისი შენახვის ხარჯების შემცირების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის სტრუქტურასა და შტატებში შემდეგი ცვლილებები:

ა) გაუქმდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთო, საოქმო, საიდუმლო, საფინანსო-სამეურნეო განყოფილებები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მისაღები, რომელიც დამოუკიდებელი განყოფილებები და შეუერთდეს ისინი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიას;

ბ) გაუქმდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში განსაზღვრულ პატების შუამდგომლობათა მომზადების ჯგუფი და შეუერთდეს ის იურიდიულ განყოფილებას.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებას შეეცვალოს სახელწოდება—საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებად.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის სტრუქტურის შეცვლის შედეგად შემცირებული იქნას 16 საშტატო ერთეული, ა/წ. 1 ივნისიდან.

4. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის შემდეგი სტრუქტურა და შტატები:

1. პრეზიდიუმის თავმჯდომარის სამდივნო	3 ერთეული
2. პრეზიდიუმის კანცელარია	28 ერთეული
მ ა თ შ ო რ ი ს	
ა) საერთო ნაწილი	7 ერთეული
ბ) საოქმო ნაწილი	1 ერთეული
გ) საფინანსო-სამეურნეო ნაწილი	17 ერთეული
დ) პრეზიდიუმის მისაღები	1 ერთეული
ე) ბიბლიოთეკა და არქივი	1 ერთეული
3. საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილება	6 ერთეული
4. იურიდიული განყოფილება	6 ერთეული
5. დაჯილდოების განყოფილება	4 ერთეული.

5. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის საშტატო განრიგი 49 ერთეულის რაოდენობით 58.341 მანეთის თვიური ხელფასის ფონდით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ბრძანებულება საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი მუშაობისა და დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის სპეციალური წოდება:

1. აბაშმაძეს მარიამ მირიანის ასულს — თბილისის № 29 საშუალო სკოლის მასწავლებელს
2. აკოპოვს ევგენია სერგის ასულს — გუდაუთის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს
3. არახამიას ისაკ გვადას-ძეს — ცხაკაიას 7-წლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს
4. არგუნს ნადეჟდა გრიგოლის ასულს — გუდაუთის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს
5. ასათიანს სამსონ კოწიას-ძეს — ცაგერის რაიონის სოფელ ტვიშის საშუალო სკოლის მასწავლებელს
6. არუთინოვს გაიკ გიორგის-ძეს — რკინიგზის № 6 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი
7. ახრახაძეს შალვა კონსტანტინეს-ძეს — ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის № 2 საშუალო სკოლის დირექტორს
8. ბაბუნაშვილს სიმონ იოსების-ძეს — ზუგდიდის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს
9. ბახტაძეს დარია სიმონის ასულს — რკინიგზის № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი
10. ბედიაშვილს ივანე სპირიდონის-ძეს — საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილების გამგეს
11. ბობუას იულიან ტანასის-ძეს — ოჩამჩირის რაიონის სოფელ გუმის № 2 7-წლიანი სკოლის დირექტორს
12. გაჩეჩილაძეს შალვა გიორგის-ძეს — რკინიგზის № 9 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს, სადგური ნავთლუღი
13. გახარიას ბარნაბ სპირიდონის-ძეს — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურის საშუალო სკოლის მასწავლებელს
14. გეგუჩაძეს ტატიანა მიხეილის ასულს — *სამტრედიის რუსული* საშუალო სკოლის დირექტორს
15. გერმანოვიჩს ევგენია ედმუნდის ასულს — თბილისის ყრუმუნჯ ბავშვთა სკოლის მასწავლებელს
16. გიორხელიძეს დომენტი იოსების-ძეს — თბილისის № 55 საშუალო სკოლის მასწავლებელს
17. გოგსაძეს იაკობ სიმონის-ძეს — გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის საშუალო სკოლის მასწავლებელს
18. გოგილაშვილს მიხეილ ნიკოლოზის-ძეს — გურჯაანის რაიონის სოფელ კაპრეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს
19. გონგლიაშვილს ნინო შიოს ასულს — ქარელის საშუალო სკოლის მასწავლებელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. გონჯილაშვილს მარიამ იოსების ასულს — თიანეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს
21. დავითიშვილს ნინო სამსონის ასულს — კასპის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელს
22. ებრალიძეს გრიგოლ იაგორის-ძეს — თბილისის ქალაქის განათლებ ის განყოფილების სასკოლო ინსპექტორს
23. ესებუას აკაკი ბახვას-ძეს — ხობის რაიონის სოფელ პირველი მაისის 7-წლიანი სკოლის მასწავლებელს
24. ეჯუბიანს ქრისტეფორე ალექსანდრეს-ძეს — თბილისის № 66 საშუალო სკოლის მასწავლებელს
25. ვაშაკიძეს მარიამ იაკობის ასულს — რკინიგზის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი
26. თავხელიძეს ივანე სერგის-ძეს — მაიაკოვსკის საშუალო სკოლის დირექტორს
27. იოსელიანს დავით ვარდენის-ძეს — წყალტუბოს საშუალო სკოლის მასწავლებელს
28. კაკაურიძეს გრიგოლ ერმილეს-ძეს — ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველი სვირის საშუალო სკოლის მასწავლებელს
29. კაკიტაძეს თამარ გრიგოლის ასულს — წყალტუბოს რაიონის სოფელ დერჩის საშუალო სკოლის მასწავლებელს
30. კანდელაკს არხიპო ლავრენტის-ძეს — თბილისის № 77 საშუალო სკოლის მასწავლებელს
31. კვანჭახაძეს სოლომონ ელისეს-ძეს — რკინიგზის № 12 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური ხაშური
32. კვასხვაძეს ავთანდილ ამბაკოს-ძეს — თბილისის № 51 საშუალო სკოლის მასწავლებელს
33. კიკნაძეს თამარ აბესალომის ასულს — ორჯონიკიძის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს
34. კორსაველს გიორგი ალექსანდრეს-ძეს — თბილისის № 43 საშუალო სკოლის დირექტორს
35. მანაფლი იბრაგიმ ახმედ ოღლის — თბილისის № 73 აზერბაიჯანული საშუალო სკოლის მასწავლებელს
36. მაჭავარიანს პავლე მურზაყანონის-ძეს — მუშა ახალგაზრდობის რკინიგზის № 4 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს, სადგური ხაშური
37. მგალობლიშვილს გრიგოლ ილარიონის-ძეს — თბილისის ყრუმუნჯ ბავშვთა სკოლის მასწავლებელს
38. მელიას პარმენ ივანეს-ძეს — ქუთაისის № 9 რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელს
39. მენაბდეს ვალერიან დავითის-ძეს — თბილისის № 25 საშუალო სკოლის მასწავლებელს
40. მიქაბერიძეს გიორგი მიქიას (ივანეს)-ძეს — თბილისის № 58 საშუალო სკოლის მასწავლებელს
41. მისაბიშვილს ეკატერინე მელქისედეკის ასულს — ქუთაისის № 8 საშუალო სკოლის მასწავლებელს
42. ნაზაროვას ელენე დიმიტრის ასულს — ქუთაისის პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

43. ნაუმენკოს ელენე კონსტანტინეს ასულს — თბილისის № 44 საშუალო სკოლის მასწავლებელს
44. ნემსაძეს ელენე გიორგის ასულს — ტყიბულის № 2 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს
45. ნიბლოშვილს ელენე მოსეს ასულს — სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირის საშუალო სკოლის მასწავლებელს
46. პლიევს ვლადიმერ სარდიონის-ძეს — სტალინირის № 2 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს
47. პოპოვს დიმიტრი მათეს-ძეს — წალკის რაიონის სოფელ ხადიკის 7-წლიანი სკოლის დირექტორს
48. პოსკაჩევს ეკატერინე დიმიტრის ასულს — მუშა-ახალგაზრდობის ფოთის № 2 საშუალო სკოლის დირექტორს
49. ჟღენტს აკაკი ერმილეს-ძეს — თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილების გამგეს
50. რამიშვილს თამარ სერაფიონის ასულს — რკინიგზის № 5 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს
51. რუსაძეს აგრაფინა ლუკას ასულს — ქუთაისის № 19 საშუალო სკოლის მასწავლებელს
52. სვანიძეს ქეთევან გიორგის ასულს — ბათუმის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს
53. სუჯაშვილს სალომე კონსტანტინეს ასულს — ყაზბეგის საშუალო სკოლის მასწავლებელს
54. ტრდატიანს ზარუი მარტიროსის ასულს — ახალციხის № 3 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს
55. ქარცივაძეს ილია სოლომონის-ძეს — მუშა-ახალგაზრდობის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს
56. შუბლაძეს მილიცა სიღოვანის ასულს — პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომელს
57. შტეინბერგს ილია აარონის-ძეს — მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მათემატიკის მეთოდური კაბინეტის გამგეს
58. ჩიქოვანს დავით ვლადიმერის-ძეს — ხაშურის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს
59. ცქვიტინინიძეს ფეოდოსია ფარნაოზის ასულს — ბოლნისის საშუალო სკოლის მასწავლებელს
60. ცხოვრებოვას როზა ტიმოთეს ასულს — სტალინირის № 3 საშუალო სკოლის დირექტორს
61. ცხოვრებოვს ალექსანდრე პეტრეს-ძეს — ჯავის საშუალო სკოლის დირექტორს
62. წულეისკორს ნინო იოსების ასულს — ქუთაისის № 8 საშუალო სკოლის მასწავლებელს
63. წიფწივაძეს იოსებ მიხეილის-ძეს — აბაშის რაიონის სოფელ გეზათის 7-წლიანი სკოლის მასწავლებელს
64. ჭეიშვილს ივანე დიმიტრის-ძეს — ქუთაისის № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელს
65. ჯაჯანიძეს ნინო ლევანის ასულს — ყვარლის რაიონის სოფელ ენისელის საშუალო სკოლის მასწავლებელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

66. ჯაიანს სერგი კადოს-ძეს — ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირის საშუალო სკოლის მასწავლებელს
67. ჯაშს სამსონ პეტრეს-ძეს — მახარაძის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 29 აპრილი.

11. ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებულების საფუძველზე, ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხელით დაჯილდოვდნენ:

მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“

1. გრიგაჩი ვლადიმერ გრიგოლის-ძე — ზემდეგი
2. დროზდოვი კირილე მიხეილის-ძე — უფროსი სერჟანტი
3. ვოლოხი ნიკოლოზ ვასილის-ძე — ეფრეიტორი
4. კავთიაშვილი მიხეილ ვასილის-ძე — ტექნიკი-ლეიტენანტი
5. კობესაშვილი ოგანეზ მიქოს-ძე — ზემდეგი
6. პანოვი ნიკოლოზ მიხეილის-ძე — რიგითი
7. სტეპოვი ვლადიმერ ივანეს-ძე — რიგითი
8. ფასურაშვილი არჩილ ივანეს-ძე — უმცროსი სერჟანტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 16 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებით დაჯილდოვა „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით 317 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქალაქ თბილისიდან	18
ქალაქ ქუთაისიდან	6
ადიგენის რაიონიდან	8
ახალციხის „—„	13
ბოგდანოვკის „—„	24
ბორჯომის „—„	3
გორის „—„	7
გურჯაანის „—„	4
დმანისის „—„	66
თეთრიწყაროს „—„	23
თელავის „—„	5
თიანეთის „—„	8
კასპის „—„	27
მახარაძის „—„	20
სამტრედიის „—„	15
საჩხერის „—„	13
სიღნაღის „—„	6
ტყიბულის „—„	3
ქარელის „—„	7
ცხაკაიის „—„	6
წალკის „—„	6
ხაშურის „—„	20
ლენინგორის „—„	3
ქალაქ სტალინირიდან	6